



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 76/ს  
10/05/2022

76-21-4-202205101522



**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადმელში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადმელში, მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადმელში, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე. საკვლევ უბანზე განვითარებულია ნაპირის ინტენსიური გვერდითი ეროზიული პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის მდ. რიონის სანაპირო ზოლის მიმდებარედ არსებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. ავარიული უბნის დასაცავად და ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია 216 მეტრი სიგრძის ნაპირდამცავი ნაგებობის, კერძოდ, ქვანაყარი ბერმის მოწყობა. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X – 343611.12; Y – 4711186.43 და X – 343427.55; Y – 4711296.27. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 127 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული ქვანაყარი ბერმის საანგარიშო სიმაღლე, მდინარის უმცირესი ნიშნულიდან, შეადგენს 4,20 მ-ს, ხოლო თხემის სიგანე - 8 მ-ს. ნაპირდამცავი ნაგებობის ამგები ლოდების საანგარიშო დიამეტრი 1,12 მეტრია, ხოლო მოცულობითი წონა არანაკლებ 2,54 ტ/მ<sup>3</sup>.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდამცავი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. რიონის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. რიონის სიგრძეა 327 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 13 390 კმ<sup>2</sup>. დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 737 მ<sup>3</sup>/წმ-ს. მდ. რიონის კალაპოტის წარეცხვის საშუალო სიღრმე 4,15 მ-ს ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 6,65 მ-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება თითო ექსკავატორი, ბულდოზერი, ბორტიანი მანქანა, ავტო ამწე და 6 ცალი ავტოთვიმცლელი. სამუშაოების განხორციელებისას სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო მონაკვეთში მდინარის გადაგდება შეუძლებელია, ბერმის მოწყობა განხორციელდება პიონერული მეთოდით, რაც გულისხმობს საპროექტო ნაგებობის სათავის მოხრეშვას და მის დროებით გზად გამოყენებას ბერმის ტანის სრული მოცულობით შესაქმნელად. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 5 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება დაახლოებით 10–15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის პერიოდში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას არ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ამასთან, საპროექტო სამუშაოებისას, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ავტოსატრანსპორტის და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი; მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა (სატრანსპორტო გადაადგილების სიჩქარე არ იქნება 35 კმ/სთ-ზე მეტი); სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი; მასალების სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის და გადმოტვირთვის სიმძლავის შეზღუდვა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. მათი ხმაურის ჯამური დონე არ იქნება 90 დბა-ზე მეტი. ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. რიონისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყლის გამოყენება ტექნიკური მიზნებისთვის პროექტით გათვალისწინებული არ არის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი წყლები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. აღნიშნულ არეალში წარმოდგენილია მხოლოდ ერთწლიანი ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეულობა, თუმცა, პროექტის ფარგლებში, მათი მოჭრა დაგეგმილი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები, ასევე წარმოდგენილი არ არის ცხოველთა ჰაბიტატები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევი რაიონი ძირითადად აგებულია პალეოგენ-ნეოგენის და მეოთხეული ასაკის ნალექებით. მეოთხეული ასაკის ნალექები წარმოდგენილია დელუვიური და ალუვიური ნალექებით - თიხოვანი, ქვიშოვანი და კენჭნარი გრუნტებით. მდინარეების და ხევების ხეობებში კაჭარ-კენჭნარით და ლოდებით, ქვიშნარის შემავსებლით. კლდოვანი ქანები წარმოდგენილია სქელშრეებრივი კირქვებით, მერგელებით და ქვიშაქვებით თიხურ ცემენტზე. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დღეისათვის არ მიმდინარეობს და არსებული ინფორმაციით არც მომავალშია დაგეგმილი მსგავსი პროექტების განხორციელება, შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადმელში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო